

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის ტომეულების  
ტექსტორთა სამუშაო ინსტუქცია

1. ტომის რედაქტორმა გულდასმით უნდა შეისწავლოს სარედაქციო თხზულება და ტექსტოლოგიური კომისიის მიერ მასზე გაწეული სამუშაო;

2. მოამზადოს რედაქტორის წინასიტყვა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სტანდარტული ზომის 20-30 გვერდს (შრიფტის ზომა 11) და მასში მოცემული უნდა იყოს:

2.1. სარედაქციო თხზულების დაწერის დრო, ვითარება და მიზანი;

2.2. ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტების ურთიერთმიმართება და დახასიათება;

2.3. თითოეული გამოცემის დახასიათება.

**მაგალითი:** „ქართველი ერის ისტორია“ მეცნიერის სიცოცხლეში გამოიცა 3-ჯერ და ყველა განსხვავებული ვარიანტია. უნდა აღინიშნოს თუ რაში მდგომარეობს ეს განსხვავება.

მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ კი დაიბეჭდა კიდევ 3-ჯერ და აქაც გვაქვს გარკვეული სხვაობები. ეს ყველაფერი აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული და გარემოებები დახასიათებული;

2.4. უნდა იყოს მითითება ადრინდელი გამოცემების შეცდომებზე და მეცნიერის ორთოგრაფიაზე;

3. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერის დებულებების ისტორიოგრაფიას.

**მაგალითი:** ივანე ჯავახიშვილი 1926 წელს გამოსულ თავის ნაშრომში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ სამუსიკო ნიშნების შესახებ წერს: „ქართული სამუსიკო ნიშნები მეცნიერულად შესწავლილი არ არის და მათი წაკითხვა ჯერ ვერ ხერხდება. არსებობს ცნობილი ფრანგი მეცნიერის ტიბოს პატარა შენიშვნა, რომელიც ქართულ სამუსიკო ნიშნებს ეხება“ (ტ. 9. გვ. 154). ასეთ მოსაზრებებს აუცილებლად უნდა ორმაგი კომენტარი: 1. უნდა აღინიშნოს რომ საკითხი, რომელსაც შეეხო დასახელებულ „პალეოგრაფიაში“, მას მოხსენიებული არ აქვს (?) 1938 წ. გამოცემულ ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (ტ. 11) და პირიქით (ანუ „მუსიკის“ გამოცემისასაც უნდა აღინიშნოს). გარდა ამისა, მოკლედ უნდა ითქვას თუ რა ნაშრომები გამოვიდა ამ საკითხზე მომდევნო წლებში და რა დებულება იქნა განვითარებული. მოცემულ საკითხთან დაკავშირებული მაგალითად, 1956 წ. 26 ნომბერს პავლე ინგოროყვამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გააკეთა მოხსენება, სადაც საუბარი იყო ამ სანოტო ნიშნების გაშიფრვაზე. მოხსენების შემდეგ ამ კვლევის საფუძველზე დარბაზში აჟღერდა ძველი ქართული ჰიმნები. აქ ასევე მოხმობილი უნდა იყოს სხვა ნაშრომებიც, თუ რამ არსებობს ამ მიმართულებით, მაგრამ ისე, რომ იგი საბოლოო ჭეშმარიტებად არ იყოს გამოცხადებული.

4. რედაქტორი არ უნდა ეკამათებოდეს ავტორს და არ უნდა ცვლიდეს მის პოზიციას.

**მაგალითი:** ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულის მე-6 ტომში მოთავსებულია მეცნიერის ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია“, დამატების სახით დაბეჭდილია „სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX-XIII საუკუნეებში“. თავის კომენტარში ტომის რედაქტორი ი. დოლიძე წერს, რომ იგი „იბეჭდება 1934 წლის გამოცემის მიხედვით. ეს მონოგრაფია თავდაპირველად „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ერთ ნაწილად იყო ნაგარაუდები, არსებითად კი წარმოადგენს ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიის ნარკვევს“ [ტ. 6. გვ. 435]. მართლაც, ეს ნაშრომი 1934 წ. გამოქვეყნდა დამოუკიდებელი ფორმით, მაგრამ თავად ივანე ჯავახიშვილი მოცემული ნაშრომის დასაწყისში ამბობს, რომ „წინამდებარე წიგნი დამოუკიდებელი ნაშრომი არ არის, არამედ ამოღებულია ჩემი „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ჯერ გამოუქვეყნებელი სათანადო წიგნებიდან... რაკი „საქართველოს ეკონ. ისტორიის“ ბეჭდვა ფერხდება და იმ წიგნების გამოქვეყნებას, საიდგანაც სოციალური ბრძოლის IX-XIII სს. ამბები მაქვს ამოღებული, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი დრო მოუწდება, საქართველოს ზოგადი ისტორიისათვის კი ამ ფაქტების ცოდნა საჭირო, ამიტომ ამ ნაწილების „საქართველოს ეკონომ. ისტორიიდან“ დროებით ამოღება და ცალკეულ პატარა მონოგრაფიად გამოქვეყნება ვამჯობინე“. [ტ. 6, გვ. 341]. საკითხი ნათელია: ივანე ჯავახიშვილი ამ ნაშრომს მიიჩნევს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ და არა „ქართული სამართლის ისტორიის“ შემადგენელ ნაწილად. ამიტომ ავტორის პოზიციამ ასეთი ჩარევა არ უნდა იქნას დაშვებული.

5. რედაქტორმა ავტორის დებულება არ უნდა გამოაცხადოს საბოლოო ჭეშმარიტებად.

**მაგალითი:** ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში მე-7 ტომში მოთავსებულია ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია“. აქ მეცნიერი ეხება „დარბაზის“ საკითხს. ამის თაობაზე ივანე ჯავახიშვილი წერს: „საქართველოს სახელმწიფოს უზენაეს ორგანოდ სახელმწიფო დარბაზი იყო“. ტომის რედაქტორი აკად. ისიდორე დოლიძე ეხმიანება ამ საკითხს თავის კომენტარებში და ეკამათება ისტორიკოს ილია ანთელავას, რომლის მიხედვითაც ამგვარი სახელმწიფო ორგანო საქართველოში არ არსებულა. ი. დოლიძე მხარს ივანე ჯავახიშვილს უჭერს. საკუთარი პოზიციის გამოხატვა ყველა მეცნიერს შეუძლია თავის ნაშრომში, მაგრამ აქ მკითხველს არ უნდა მოვახვიოთ რედაქტორის სიმპათია-ანტიპათია. მხოლოდ მშრალად უნდა დაფიქსირდეს ვითარება და კონსტატაცია უნდა მოხდეს მოცემული ავტორისეული დებულების ისტორიოგრაფიაზე.

6. მეცნიერის შრომების გვერდების ურთიერთმიითება სხვადასხვა ტომებში უნდა მოხდეს ახალი აკადემიური გამოცემის მიხედვით. ამისათვის აუცილებლად უნდა მომზადდეს რამდენიმე ტომი ერთად, სადაც ასეთი ურთიერთმიმართებები არსებობს.

**მაგალითი:** ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულის მე-6 ტომის 196-ე გვერდზე საუბარია მოსახლეობის ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინზე „კომლი“ და არის საკუთარ ნაშრომზე მითითება: „(საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 16-17)“. 12-ტომეულში მე-5-6 ტომებშია მოცემული ხსენებული ნაშრომი. მათ მითითებულ გვერდებზე კი აღნიშნულ საკითხზე

საუბარი არაა. მითითება გულისხმობს 1907 წელს გამოსულ „საქართველოს ეკონომიურ ისტორიას“, სადაც მართლაც ამ გვერდზე არის განხილული ეს ტერმინი. 12-ტომეულის მე-12 ტომში არის დაბეჭდილი 1907 წელს გამოსული ეს ნაშრომი, მაგრამ იქ აღნიშნული საკითხი სხვა გვერდზეა წარმოდგენილი. ასე რომ მკითხველს დაინტერესების შემთხვევაში მოცემული მსჯელობის შესახებ მითითების გადამოწმების საშუალება 12-ტომეულში არ ეძლევა და მან ბიბლიოთეკაში უნდა მოიძიოს 1907 წლის გამოცემა. ახალ აკადემიურ გამოცემაში ანალოგიური რამ არ უნდა განმეორდეს.

7. რედაქტორებმა უნდა იმუშაონ ერთმანეთთან კოორდინაციით.

**მაგალითი:** ივანე ჯავახიშვილის 12-ტომეულში რედაქტორები დამოუკიდებლად მუშაობენ პრინციპით „მარცხენამ არ იცის თუ რას აკეთებს მარჯვენა“. 12-ტომეულის მე-9 ტომში დაბეჭდილი მეცნიერის სამი ნაშრომი (1. ატენის სიონის შესახებ და რეცენზიები ე. თაყაიშვილისა და ე. პახომოვის შრომებზე) მეორდება მე-12 ტომშიც, ეს რომ არ მოხდეს რედაქტორებს ტომის დაკომპლექტებული მასალა უნდა გადასცეს ტექსტოლოგიურმა კომისიამ.

ამდენად, ლაფსუსები რომ არ გაიპაროს, რედაქტორებს დახმარება უნდა გაუწიოს ტექსტოლოგიურმა კომისიამ. ამ უკანასკნელმა ყველაფერს თვალყური უნდა ადევნოს და დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიოს საქმეში. ტომის რედაქტორი კერძო პირია, რომელიც თავისი აკადემიური კვალიფიკაციით მოქმედებს მხოლოდ მისთვის სარედაქციოდ გაპროვინებული მასალის ფარგლებში, ხოლო ტექსტოლოგიური კომისია კოლეგიალური მუშა ორგანოა, რომელიც ამზადებს არა მარტო ერთი ტომის, არამედ მთლიანი გამოცემის მასალებს. ამდენად მათ შორის ფუნქციები შემდეგნაირად იმიჯნება:

1. ტექსტოლოგიური კომისია ივანე ჯავახიშვილის მემკვიდრეობას უყურებს ერთიან ფორმატში და მისი ყველა ხელნაწერ და ნაბეჭდ მასალას ერთიანად განიხილავს, ხოლო ტომის რედაქტორი მხოლოდ ერთ საკითხს ეხება, რომელიც მეცნიერს აქვს ამ ტომში გადმოცემული;

2. ტექსტოლოგიური კომისია ცდილობს დაადგინოს სხვადასხვა საქალაქო და სახელმწიფო არქივებში გაბნეული ამა თუ იმ ნაშრომის ცალკეული ფურცლების ურთიერთმიმართება და მიმდევრობა, ვარიანტების კითხვა-სხვაობა და ა.შ. ტომის რედაქტორი კი უღრმავდება მხოლოდ იმ საკითხის ისტორიოგრაფიას, რომელიც მოცემულ ტომშია განხილული.

3. ტომის რედაქტორი სარედაქციო ტომის ძირითად აკადემიურ საკითხებს ეხება, ტექსტოლოგიური კომისია კი ამ ტომების შესაქმნელ შავ მასალას სწავლობს და აჯგუფებს.

**მაგალითად,** ივანე ჯავახიშვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომია „ქართული სამართლის ისტორია“. ტექსტოლოგიური კომისია ერთმანეთს უდარებს მის ნაბეჭდ და ხელნაწერ ტექსტებს, ეძებს არქივში ამ თემაზე დაწერილ სხვა მასალებსაც, აკომპლექტებს ტომს, ამოწმებს მითითებებს სხვადასხვა ნაშრომში - ავტორისეული დამოწმებითა და უახლესი აკადემიური გამოცემებითაც. ტომის რედაქტორი კი ჩერდება ამ ნაშრომის გამოცემების ისტორიაზე, მეცნიერის ამ საკითხით დაინტერესებაზე და შემდეგ მასში

განვითარებულ ცალკეულ დებულებებზე. მან უნდა აღნიშნოს, თუ როგორ განვითარდა ამ დებულებების (მაგ. დარბაზის ან სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი) კვლევა მომდევნო წლებში. ცნობილია რომ ქართული სამართლის ისტორიას ივანე ჯავახიშვილის შემდეგ იკვლევდნენ ისიდორე დოლიძე, ივანე სურგულაძე, გიორგი ნადარეიშვილი, მიხაკო კეკელია და სხვა. მათ, თუ რამ განსხვავებული მოსაზრება აქვთ გამოთქმული ივანე ჯავახიშვილის დებულებებთან დაკავშირებით, ტომის რედაქტორმა იგი უკლებლივ უნდა ჩამოთვალოს შესაბამისი მითითებებით.